საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 169

2013 წ. "19" 11

ქ. თბილისი

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 19 ნოემბრის №13 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარინე ჩიტაშვილი

მდივანი
მაია ჩიხლაძე